

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური

TBILISI CITY SERVICE

N 09-2/9991

11/10/2017

9991-09-2-2-201710111722



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრის  
დირექტორს ლია თოდუას  
(პროგრამის კოორდინატორი -ვახტანგ კობალაძე)

ქალბატონო ლია,

2017 წლის 05 ოქტომბერს სურსათის ეროვნულ სააგენტოდან თბილისის სამმართველოში შემოვიდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2017 წლის 03 ოქტომბრის №15981 წერილი, რომელიც ეხებოდა ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „უნივერსამი“-ს სუპერმარკეტში შეძენილ გაყინული პროდუქტის ნიმუშში (ასაწონი ზუთხის თავის და კუდი) ლაბორატორიული კვლევისას დარღვევების, კერძოდ სიძველის ნიშნების გამოვლენის ფაქტს.

2017 წლის 06 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორების მიერ ადგილზე (მეტრო „ახმეტელი“ მიმდებარე ტერიტორია, შპს „უნივერსამის“ სუპერმარკეტი, ს/კ 400192616) შესწავლილი იქნა ზემოთ აღნიშნული ფაქტი, რომლის შესახებაც სუპერმარკეტის ხელმძღვანელობა საქმის კურსში იყო. ობიექტში განხორციელებული არაგეგმური ინსპექტირებისას, გაყინული თევზეულის სექციაში რეალიზაციაში აღარ ჰქონდათ გაყინული „ზუთხის თავი და კუდები“. სუპერმარკეტის მენეჯერის განცხადებით დარჩენილი სურსათი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“-დან ინფორმაციის მიღებისთანავე ამოიღეს რეალიზაციიდან. შესწავლისას ადგილზე (თევზეულის სექციაში) დაცული იყო გაყინული თევზეულის შენახვის პირობები, რეალიზაციის ვადები და ეტიკეტირების წესი. დადგინდა სურსათის მიმწოდებელი კომპანია (შპს „ქობრონი“ ს/კ246958500, ქობულეთი, სოფ. კოხი). გამოვლენილ არაკრიტიკულ

შეუსაბამობებზე გაცემული იქნა მითითებები. შედგენილი იქნა შესაბამისობის შეფასების აქტი №1A806004G7G0F.

ბიზნესოპერატორს მიეთითა, ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობოს სურსათის მწარმოებელ-მომწოდებელ კომპანიას და გააძლიეროს კონტროლი სურსათის ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის პირობებზე.

პატივისცემით

ვასილ ბასილაძე



სამსახურის უფროსი



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA  
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/10742  
27/10/2017

10742-09-2-201710270910



საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების  
ცენტრის დირექტორს ლია თოდუას

ქალბატონო ლია,

გაცნობებთ რომ, 2017 წლის 3 ოქტომბრის სსიპ. სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი წერილის (№15981) საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისში მდებარე სუპერმარკეტში შპს. „უნივერსამი“-ში შეძენილ შპს. „ქობრონი“-ის (ს/კ 246958500) მიერ წარმოებულ თევზის (გაყინული ზუთხის თავი და კუდი) ნიმუშებში ლაბორატორიული კვლევის შედეგად, სიძველის ნიშნების გამოვლენის ფაქტს, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა ზემოთ აღნიშნულ ბიზნესოპერატორებთან სახელმწიფო კონტროლი.

თბილისის საქალაქო სამსახურის მიერ ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის შედეგები გეცნობათ 11 ოქტომბრის N 09-2.9991წერილით.

ასევე აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი შპს. „ქობრონი“-ს კუთვნილი სატბორე მეურნეობაში, სადაც ბიზნესოპერატორი ახდენს თევზის მოშენებას და შემდგომ ცოცხალი სახით შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით რეალიზაციას.

აღნიშნულ ბიზნესოპერატორთან შევსებული იქნა შესაბამისობის შეფასების აქტი, ასევე დაფიქსირდა არაკრიტიკული შეუსაბამობები და მიეცა გონივრული ვადა მითითებების შესასრულებლად.

ზურაბ ლიპარტია

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი